ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

თბილისი
2021

შ. პ. ს. “თბილინვესტპროექტი“

ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

შ.პ.ს.
“თბილინვესტპროექტის
დირექტორი გ. სიყმაშვილი

სამთო და გეოინჟინერიის
მაგისტრი, ინჟინერ-გეოლოგი გ. სიყმაშვილი

ტექნიკური დავალება

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ჩასატარებლად

გაცემულია დამკვეთის მიერ
/დამკვეთის ან ორგანიზაციის დასახელება/

I. საერთო ცნობები

1. ობიექტის სრული დასახელება სამი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი

2. ობიექტის მდებარეობა ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070
/ადმინისტრაციული კუთვნილება და მისამართი/

3. მშენებლობის მოკლე დახასიათება ახალმშენებლობა
/ახალმშენებლობა, რეკონსტუქცია, გაფართოება/

II. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა-ძიებისთვის
საჭირო მონაცემები.

4. დაპროექტების სტადია სტადია პროექტი
/წინასაპროექტო სტადია, პროექტი, მუშა პროექტი/

საპროექტო შენობა-ნაგებობების დახასიათება

5. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით II (ᲡᲜ 03.01-09 დანართი 3).

6. შენობის სართულიანობა და ზომები გეგმაში ოთხსართულიანი 10,1x17,1 მ

7. პირველი სართულის იატაკის საპროექტო ნიშნული ±0,00= 526,4 მ

8. სარდაფის იატაკის საპროექტო ნიშნული 519,8 მ

9. შენობის ტიპი კარკასული
/კარკასული, მონოლითური და სხვ./

10. საძირკვლის სავარაუდო ტიპი და ზომები დადგინდება გეოლოგიური კვლევებით

11. მოსალოდნელი საპროექტო დატვირთვა საძირკვლის ფუძეზე 250 ტ/მ

12. საამშენებლო უბნის ტოპოგეგმა ნაგებობის კონტურებით მას'შ. 1 : 500 1

სარჩევი

1. შესავალი ---------- 2
2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია 3
3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები ---------- 4
4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები ---------- 5
5. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები ---------- 8
6. დასკვნები და რეკომენდაციები ---------- 8

დანართები

ტექნიკური დავალება ---------- 1 ფ.
ჭაბურღილების განლაგების სქემა ---------- 1 ფ
საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი ---------- 3 ფ.
ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური სვეტი ---------- 5 ფ
ლაბორატორიული კვლევების ჯამური უწყისი ---------- 1 ფ
გრუნტის ძვრაზე გამოცდის შედეგები ---------- 6 ფ
გრუნტის სიმტკიცეზე გამოცდის შედეგები ---------- 8 ფ
სტატისტიკური დამუშავების შედეგები ---------- 2 ფ

ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლების პროექტი

საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების ტექნიკური ანგარიში

1. შესავალი

დაკვეთის საფუძველზე შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოლოგების ჯგუფმა ქ. თბილისში, ღრმაღელეში, რატევანის ქუჩაზე ჩაატარა საინჟინრო-გეოლოგიური სამუშაოები საცხოვრებელი სახლების დაფუძნების პირობების დადგენის მიზნით. ტექნიკური დავალების თანახმად, აღნიშნულ მოედანზე უნდა აშენდეს სამი ოთხსართულიანი შენობა. შენობები გეგმაში მართკუთხედის ფორმისაა, ზომებით 10,1x17,1 მ. შენობის ტიპი –– რკინა-ბეტონის მონოლითური კარკასი, საძირკვლის სავარაუდო ტიპი –– დადგინდება გეოლოგიური კვლევების საფუძველზე. ნაგებობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით – II. (პნ 03.01-09 დანართი 3).

სამშენებლო მოედნის შესწავლისათვის ჩატარებულია შემდეგი სახის და მოცულობის სამუშაოები: ანგარიშში გამოყენებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება", შესწავლილია და გაანალიზებულია ნაშრომის ის ნაწილი, რომელიც საკვლევ უბანს ეხება. უბნის საინჟინრო-გეოლოგიური შეფასების მიზნით დათვალიერებულია მიმდებარე ტერიტორია, ლითოლოგიური ჭრილის დასადგენად და ნიმუშების ასაღებად, გაყვანილია 5 ჭაბურღილი საერთო სიღრმით 50 გრძ/მ. გრუნტებიდან აღებულია ნიმუშები, რომლებზეც ლაბორატორიული კვლევები ჩატარდა შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკურ ლაბორატორიაში. ჭაბურღილების გეგმური და სიმაღლითი მიბმა განხორციელდა დამკვეთის მიერ გადმოცემულ ტოპო-გეგმაზე. საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე შედგენილია წინამდებარე დასკვნა. კვლევები ჩატარებულია და დასკვნა შედგენილია საქართველოში ამჟამად მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების (სამშენებლო წესების და ნორმები) მოთხოვნების შესაბამისად – ს.ნ.

და წ. 1.02.07-87 (საინჟინრო გამოკვლევები მშენებლობისათვის), პნ 01.05-08 (სამშენებლო კლიმატოლოგია), პნ 02.01-08 (შენობების და ნაგებობების ფუძეები), ს.ნ. და წ. IV-5-82 (მიწის სამუშაოები), ს.ნ. და წ. 2.02.02-85 (ჰიდროტექნიკური ნაგებობები), ს.ნ. და წ. 2.02.03-85 (ხიმინჯოვანი საძირკვლები), ს.ნ. და წ. 3.02.01-87 (მიწის ნაგებობები, ნაგებობათა ფუძეები და საძირკვლები), პნ 01.01.-09 (სეისმომედეგი მშენებლობა), სახსტანდარტი 25100-82 (გრუნტები, კლასიფიკაცია). საინჟინრო-გეოლოგიური კვლევები შესრულდა 2021 წლის ივლისში.

2. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები, რელიეფი, გეომორფოლოგია და ჰიდროგრაფია

საკვლევი მოედანი მდებარეობს აღმოსავლეთ საქართველოში, ქ. თბილისში, მდ. მტკვრის მარჯვენა სანაპიროს ნაწილში, ღრმაღელეში. საქართველოს ტერიტორიის სამშენებლო კლიმატური დარაიონების სქემის მიხედვით განეკუთვნება IIIგ კლიმატურ ქვერაიონს (№65). წლის საშუალო ტემპერატურა 11,9°C, წლის აბსოლუტური მინიმუმი –24°C, აბსოლუტური მაქსიმუმი 39°C. ნალექების წლიური რაოდენობა 560 მმ-ს შეადგენს, ხოლო დღეღამური მაქსიმუმი — 146 მმ. თოვლის საფარის წონა 0,50 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 5 წელიწადში ერთხელ — 0,48 კპა, ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობა 15 წელიწადში ერთხელ — 0,60 კპა. ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი 1, 5, 10, 15 და 20 წელიწადში ერთხელ — შესაბამისად 24, 28, 30, 32 და 33 მ/წმ. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე: თიხოვანი და თიხნარი — 0 სმ, მსხვილნატეხოვანი — 0 სმ.

საქართველოს სეისმური საშიშროების რუკის მიხედვით, ქ. თბილისის მაკროსეისმური ინტენსივობა MSK64 სკალის მიხედვით 8 ბალს შეადგენს, ხოლო სეისმურობის კოეფიციენტი A-0,17.

საკვლევი ტერიტორია განლაგებულია ყენის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ზედა ნაწილში. უბნის რელიეფი ჩრდილოეთის მიმართულებით საშუალოდ დახრილი, დადატერასებული ზედაპირით არის წარმოდგეინილი. სამშენებლო მოედანს სამი მხრიდან საკარმიდამო ნაკვეთები ესაზღვრება, ხოლო სამხრეთიდან რატევანის ქუჩა. სამშენებლო მოედანი განაშენიანებული არ არის. მოედნის აბსოლუტური ნიშნულები 517,0–525,0 მ-ის ფარგლებში მერყეობს.

ტერიტორიის მთავარ ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს მდ. მტკვარი შენაკადებით. მისი დინება ჩრდილოეთიდან სამხრეთით არის მიმართული. ნაპირები მკვეთრად გამოხატულია და 5-6 მ-ის სიმაღლის ბეტონის ჯებირებით არის დაცული. საკვლევი უბანი მდებარეობს მდ. მტკვრის მარცხენა სანაპიროზე. მდინარიდან დაშორებულია 1400 მ-ით. მეორე ჰიდროგრაფიულ ელემენტს წარმოადგენს თბილისის ზღვა. იგი ტერიტორიის აღმოსავლეთით, სამშენებლო მოედნიდან 1000 მ-ის დაშორებით, თბილისის ზღვის დეპრესიაში მდებარეობს. სამშენებლო მოედნიდან დიდი დაშორების გამო, მდინარის უარყოფითი გავლენა სამშენებლო მოედანზე გამორიცხულია.

3. გეოლოგიური აგებულება და ჰიდროგეოლოგიური პირობები

საქართველოს ტერიტორიის ტექტონიკური დანაწევრების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია მცირე კავკასიონის ნაოჭა სისტემის, აჭარა-თრიალეთის ნაოჭა ზონის სამხრეთ ქვეზონაში. ტერიტორია აგებულია პალეოგენური დანალექი ფლიშური ნალექებით, რომლებიც წარმოდგენილნი არიან ზედა ეოცენური ასაკის მერგელების დასტების, ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობით. მერგელები ღია-ყავისფერია, თხელშრეებრივი, ადვილად იშლებიან. ქვიშაქვები მსხვილმარცვლოვანია, მკვრივი, მდგრადი. ქვიშაქვები ძირითადად საშუალო და სქელშრეებრივია. არგილიტები ძირითადად თხელშრეებრივია, ქვიშაქვის შრეებს შორის დასტებად არის განლაგებული. ძირითად ქანებზე ზემოდან განლაგებულია მეოთხეული ასაკის პროლუვიურ-დელუვიური გენეზისის თიხნარები, რომლებიც ღორღსა და ხვინჭას შეიცავენ. ეს ნალექები ზემოდან გადაფარულია თანამედროვე ნაყარი გრუნტით.

საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების სქემის მიხედვით, ტერიტორია განთავსებულია თბილისის ნაპრალოვანი და ნაპრალოვან-კარსტული წყალწნევიანი სისტემის ფარგლებში. გრუნტის წყლების ფორმირება, მოძრაობა და გავრცელება განისაზღვრება ტერიტორიის გეომორფოლოგიური პირობებით და გეოლოგიური აგებულებით. მიწისქვეშა წყლები გავრცელებულია კლდოვანი ქანების ნაპრალებში და ნაპრალური ხასიათის არის.

4. გრუნტების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები

გეოლოგიური, ჰიდროგეოლოგიური და საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულით ს.ნ. და წ. 1.02.07-87-ის დანართი 10-ის თანახმად, განეკუთვნება II (საშუალო) სირთულის კატეგორიას. ჩატარებული საველე სამუშაოების და ლაბორატორიული კვლევების მონაცემების საფუძველზე ჭრილში გამოყოფილია სამი ფენა. ქვემოთ მოყვანილია ამ ფენების დახასიათება.

ფენა №1 ნაყარი გრუნტი – tQ_{IV} – თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული. ფენა წარმოდგენილია არაერთგვაროვანი თიხური მასით, რომელიც შეიცავს ლოდებს და აგურის ნამტვრევებს. გრუნტის სიმძლავრე 1,0-1,5 მ-ის ფარგლებშია. გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 24-ა-II კატეგორიას.

ფენა №2 თიხნარი - pdQ_{IV} – მუქი-ყავისფერი, ღორღის და ხვინჭის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით, მყარი კონსისტენციის. ფენა დასინჯულია დაურღვეველი სტრუქტურის გრუნტის 6 ნიმუშით. შესრულდა ძვრაზე გამოცდები ბუნებრივ მდგომარეობაში, საფეხურებრივი დატვირთვით 0,5 კგძ/სმ^2, 3,0 კგ-მდე. შესწავლილია გრუნტის ფიზიკური თვისებები: სიმკვრივე, ტენიანობა, პლასტიურობის ზღვრები. გამოთვლილია ფორიანობა, ფორიანობის კოეფიციენტი, დენადობის მაჩვენებელი, ტენიანობის ხარისხი. მათი რიცხვითი მნიშვნელობების მიხედვით, პნ 02.01-08-ის დანართი 3, ცხრ. 1-ის საფუძველზე მიღებულია პირობითი საანგარიშო წინაღობის მნიშვნელობები. გრუნტის ფიზიკურ-მექანიკური თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 1-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები ჯამურ უწყისში.

ცხრ. 1

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	1,88
2	მშრალი გრუნტის სიმკვრივე	ρ_δ	გ/სმ^3	1,56
3	გრუნტის ნაწილაკების სიმკვრივე	ρs	გ/სმ^3	2,72
4	ბუნებრივი ტენიანობა	W	ერთ. ნაწ.	0,205
5	ფორიანობა	n	%	43
6	ფორიანობის კოეფიციენტი	e	ერთ. ნაწ.	0,748
7	ტენიანობა დენადობის ზღვარზე	W_L	ერთ. ნაწ.	0,339

8	ტენიანობა პლასტიკურობის ზღვარზე	Wp	ერთ. ნაწ.	0,212
9	პლასტიურობის რიცხვი	Ip	ერთ. ნაწ.	12,8
10	დენადობის მაჩვენებელი	I_L	ერთ. ნაწ.	0,00
11	ტენიანობის ხარისხი	Sr	ერთ. ნაწ.	0,7
12	პუასონის კოეფიციენტი	μ	ერთ. ნაწ.	0,35
13	დეფორმაციის მოდული	E	კგძ/სმ^2	170
14	შიგა ხახუნის კუთხე	φ	გრად.	23^0
15	ხვედრითი შეჭიდულობა	C	კგძ/სმ^2	0,27
16	პირობითი საანგარიშო წინაღობა	R_0	კგძ/სმ^2	2,5

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 33-ე-III კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №3 მერგელი – P_2^3 – ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით. მერგელები თხელშრეებრივია, არამდგრადი და ადვილად იშლებიან. ზედაპირთან ახლოს, ქანები ძლიერ გამოფიტული და ნაპრალიანია, ნაპრალები შევსებულია გამოფიტვის მასალებით. სიღრმის მატებასთან ერთად ქანის გამოფიტვის ხარისხი კლებულობს და შესაბამისად ქანის სიმტკიცე იზრდება. სამშენებლო მოედნის სამხრეთ ნაწილში, არსებულ გაშიშვლებაზე გაიზომა ქანების დაქანების აზიმუტი და დახრის კუთხე: Az 350-355°, <15-20°, რაც ფერდობის დახრას ემთხვევა. აღებულია მერგელის 3 ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა გამოცდები სიმტკიცეზე ერთღერძა კუმშვაზე როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. გრუნტის თვისებების ნორმატიული მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილ 2-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევების შედეგები წარმოდგენილია ჯამურ უწყისში. ცხრ. 2

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,32
2	ტენიანობა	W	%	10,4
3	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	4,7
4	დეფორმაციის მოდული	E	მპა	200
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,25

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, ნახევრადკლდოვან, დაბალი სიმტკიცის ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 22-6-V კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

ფენა №4 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა – P_2^3 – ღია-ნაცრისფერი, გამოფიტული, ნაპრალიანი. ქვიშაქვები წვრილმარცვლოვანი, ტექსტურა უწესრიგო. არგილიტის შრეების სიმძლავრე 3-5 სმ-ია, ქვიშაქვის შრეების სიმძლავრე 25-35 სმ-ს აღწევს. არგილიტები არა მდგრადია და ადვილად იშლებიან. ქვიშაქვები მკვრივია, მდგრადი, თიხურ ცემენტზე. არგილიტები ქვიშაქვის მკვრივ შრეებს შორის დასტებად არიან განლაგებულნი. სიღრმის მატებასთან ერთად არგილიტები ხდებიან უფრო მკვრივები, უფრო მდგრადები, ამიტომ ფენა შეიძლება განვიხილოთ როგორც ერთი მთლიანი, რადგან მათ შორის კავშირი მტკიცეა. გაიზომა შრეების დაქანების აზიმუტი და ვარდნის კუთხე – Az 350-355°, <15-20°, რაც ფერდობის ექსპოზიციას ემთხვევა. ქვიშაქვის და არგილიტის შერფარდება მასივში 70:30. ლაბორატორიულად შესწავლილია ქვიშაქვის 4 და არგილიტის 2 ნიმუში, რომლებზეც ჩატარდა გამოცდები ერთღერძა კუმშვაზე, როგორც მშრალ, ასევე წყალნაჯერ მდგომარეობაში. ქვიშაქვების თვისებების ნორმატიული მნიშვნელობები მოყვანილია არგილიტის თვისებების გათვალისწინებით ცხრილ 3-ში, ხოლო ლაბორატორიული კვლევის შედეგები ჯამურ უწყისში. ცხრ. 3

№	ფიზიკურ-მექანიკური თვისებების დასახელება	ინდექსი	განზ. ერთ.	ნორმატიული. მნიშვნელობა
1	სიმკვრივე	ρ	გ/სმ^3	2,36
2	ტენიანობა	W	%	9,6
3	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყალში	Rc	მპა	10,3
4	დეფორმაციის მოდული		მპა	2000
5	პუასონის კოეფიციენტი	μ		0,20

სახ.სტანდარტი 25100-82-ის მიხედვით გრუნტი მიეკუთვნება დანალექ, შეცემენტებულ, საშუალო სიმტკიცის კლდოვან ქანებს.

გრუნტი დამუშავების სიძნელის მიხედვით მიეკუთვნება 28-6-VI კატეგორიას.

გრუნტი სეისმური თვისებების მიხედვით მიეკუთვნება II კატეგორიას.

მიწისქვეშა წყალი აღნიშნულ მოედანზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა, თუმცა, საძირკვლების მოწყობისას, კლდოვანი ქანის ნაპრალებიდან წყლის გამოჟონვა არ არის გამორიცხული. ასეთ შემთხვევაში აუცილებელი იქნება წყლის ლაბორატორიულად დასინჯვა, ქიმიური შემადგენლობის დასადგენად.

5. ტერიტორიის საინჟინრო-გეოლოგიური პირობები (გეოდინამიკური შეფასება)

საპროექტო შენობა განთავსებულია ყეენის ქედის ჩრდილოეთ ფერდობის ზედა ნაწილში. სამშენებლო მოედანს სამხრეთიდან რატევანის ქუჩა ესაზღვრება, დანარჩენი სამი მხრიდან საკარმიდამო ნაკვეთები. გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის მიერ 2019 წელს ჩატარებული კვლევები "ქ, თბილისის ტერიტორიის საინჟინრო-გეოდინამიკური პირობები და გეოლოგიური საფრთხეების შეფასება"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით ტერიტორია მიეკუთვნება საშუალო საფრთხის ზონას. ჩატარებული საინჟინრო-გეოლოგიური კვლევის მიხედვით ტერიტორია აგებულია კლდოვანი და ნახევრადკლდოვანი ქანებით, რომლებიც ზემოდან გადაფარულია თიხური გრუნტებით, რომელთაც შეჭიდულობის მაღალი მახასიათებლები აქვთ. ქვაბულის ამოღება პროექტით გათვალისწინებული არ არის, რადგან, სარდაფის საპროექტო ნიშნული 519,8 მ-ია. ფერდობის ჩამოჭრა ხდება 4,0-4,5 მ-ის სიღრმემდე. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნის საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა თიხნარისთვის მიიღება 1:0.75 ანუ 53°. თუ მოხდება ფერდობის ვერტიკალური ჩამოჭრა, რომლის სიღრმე 5,0 მ-ზე მეტი იქნება, ამ შემთხვევაში აუცილებელია ფერდობის გამაგრება ხიმინჯების ან საყრდენი კედლების მოწყობით. გრუნტის წყალი სამშენებლო მოედანზე გავრცელებული არ არის.

6. დასკვნები და რეკომენდაციები

1. ქ. თბილისში, რატევანის ქ. №28-ში საცხოვრებელი სახლის მშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი №01.12.09.005.063 მდებარეობს ხელოვნურად დატერასებულ რელიეფზე, ნიშნულებით 517,0–525,0 მ. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული კვლევების "ქ, თბილისის გეოლოგიური საფრთხეების შეფასების ანგარიში"-ს გეოლოგიური საფრთხეების ზონირების მიხედვით, საკვლევი მოედანი მიეკუთვნება საშუალო გეოლოგიური რისკის ზონას. ჩატარებული დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების დროს შესწავლილი იქნა როგორც სამშენებლო მოედანი, ასევე მთლიანად მომიჯნავე ტერიტორია, რის

შედეგადაც დადგინდა, რომ, სამშენებლო მოედანი და მიმდებარე ტერიტორია ამჟამად მდგრადია, მასზე საშიში გეოლოგიური მოვლენები განვითარებული არ არის, ხოლო ფერდობის 5,0 მ-ზე მეტი სიღრმით ჩამოჭრის შემთხვევაში, აუცილებელი იქნება ფერდობის საინჟინრო დაცვის ღონისძიებების გატარება.

2. საველე და დაბორატორიული კვლევების ანალიზის საფუძველზე, სამშენებლო მოედანზე გამოიყო სამი საინჟინრო გეოლოგიური ელემენტი – სგე (ნაყარი გრუნტი მხედველობაში არ მიიღება): ამ სგე-ების ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები მოცემულია ცხრ. 4-ში. ცხრ. 4

სგე	ნორმატიული და საანგარიშო მნიშვნელობები	სიმკვრივე ρ , გ/სმ³	ხვედრითი შეჭიდულობა C კგძ/სმ²	შიგა ხახუნის კუთხე φ გრად	სიმტკიცე ერთღერძა კუმშვაზე წყ. Rc მპა	დეფორმაციის მოდული E მპა	პირობითი საანგარიშო წინაღობა R ი, კგძ/სმ²	დენადობის მახვმებელი I	პუასონის კოეფიციენტი μ	გრუნტის დასახელება
I	A_n	1.88	0.27	23º		17	2.5	0.00	0.35	თიხნარი ღორღით
	α =0,85	1.86	0.25	23º						
	α =0,95	1.85	0.24	22º						
II	A_n	2.32			4.7	200			0.25	მერგელი
III	A_n	2.36			10.3	2000			0.20	ქვიშაქვის და არგილიტის მორიგეობა
	α =0,85	2.33			8.4					
	α =0,95	2.30			7.0					

3. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევების შედეგად სამშენებლო მოედანზე გამოყოფილი I სგე წარმოადგენს თიხნარს, რომელიც შეიცავს ღორღსა და ხვინჭას. გრუნტს სიმტკიცის და დეფორმაციის დაბალი მახასიათებლები აქვს ამიტომ, იგი არ არის რეკომენდებული ფუძის გრუნტებად.
4. II სგე წარმოადგენს ღია-ყავისფერ მერგელებს, რომლების ქვიშაქვის შუაშრეებს შეიცავს. გრუნტს სიმტკიცის და დეფორმაციის დამაკმაყოფილებელი მახასიათებლები აქვს. მისი გამოყენება ფუძის გრუნტებად შესაძლებელია. საძირკვლის ტიპი – რკინა-ბეტონის ფილა.

5. III სგე მოედანზე შედარებით ღრმად არის გავრცელებული. აქვს სიმტკიცის და დეფორმაციის მაღალი მახასიათებლები. იგი რეკომენდებულია ფუძის გრუნტებად, საძირკვლის ტიპი – ბურღვით-ნატენი ხიმინჯები კლდოვან ქანებში ჩაანკერებით.
6. მოედნის სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი წარმოადგენს 4-5 მ-ის სიმაღლის ციცაბო ფერდობს. ღადგან, ფერდობის ნაწილობრივი ჩამოჭრა იგეგმება, გრუნტის ჩამოშლის თავიდან ასაცილებლად და ეზოს დასაცავად მოედნის ამ ნაწილში საჭიროა ბეტონის საყრდენი კედლის მოწყობა, თუმცა, შესაძლებელია შენობების კედლების გამოყენება საყრდენ კედლებად.
7. გრუნტის წყალი აღნიშნულ მოედანზე, გამოკვლეული სიღრმის ფარგლებში არ დაფიქსირდა, თუმცა, საძირკვლების მოწყობისას არ არის გამორიცხული კლდოვანი ქანის ნაპრალებიდან წყლის გამოჟონვა.
8. ქვაბულის ფერდოს ქანობის დახრა განისაზღვრება სნ და წ III-4-80-ის თავი 9-ის ცხრ. 4-ის მოთხოვნების საფუძველზე, რომლის მიხედვით 5 მ-მდე ქვაბულის ფერდოს დახრა ნაყარი გრუნტისთვის მიიღება 1:1 ანუ 45°, ხოლო თიხნარისთვის – 1:0.75, ანუ 53°. ქვაბულის ფერდოს ვერტიკალური ქანობის შემთხვევაში, როდესაც ქვაბული 5 მ-ზე მეტია, აუცილებელია მისი ფერდების გამაგრება შპუნტების, ხიმინჯების, საყრდენი კედლების ან სხვა მეთოდების გამოყენებით.
9. ქ. თბილისი - პნ 01.01.-09 "სეისმომედეგი მშენებლობა" სეისმური საშიშროების რუკის დანართის მიხედვით განეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას. ხოლო უბნის ამგები გრუნტები სეისმური თვისებებით, იმავე კრებულის ცხრ. №1-ის მიხედვით მიეკუთვნებიან II კატეგორიას.

სამთო და გეოინჟინერიის მაგისტრი,
ინჟინერ-გეოლოგი: გ. სიყმაშვილი



თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი	
დირექტორი	გ. სიყმაშვილი			
ინჟ.გეოლოგი	გ. სიყმაშვილი		ჭაბურღილების განლაგების სქემა	
შეასრულა	გ. სიყმაშვილი			
შეამოწმა			სტადია / ფურცელი / ფურც-ბი / მასშტაბი	შ.პ.ს
			მუშა/პროექტი / 1 / 3 / უმასშტაბო	"თბილინვესტპროექტი"



ნიშნული	518,0	433,7		520,5		
მანძილი			12,0			

პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით, მყარი.

2 მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.

3 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია-ნაცრისფერი, გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, რატჭვანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი				
დირექტორი	ბ. სიჭინაშვილი						
ინჟ.გეოლოგი	ბ. სიჭინაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი I-I				
შესასრულა							
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	3	3	1:100	"თბილინჯსტაროექტი"



ნიშნული		518,5		521,7		
მანძილი			12,0			

პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აბურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით, მყარი.

2 მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.

3 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია-ნაცრისფერი, გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში საცხოვრებელი სახლის პროექტი				
დირექტორი	ბ. სიჟმაშვილი						
ინჟგეოლოგი	ბ. სიჟმაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი II-II				
შესრულა							
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	3	3	1:100	"თბილინვესტპროექტი"



ნიშნული	519,7	518,5	519,2
მანძილი	8,0	12,0	

პირობითი ნიშნები

ნაყარი ბრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აბურის ნატეხების ჩანართებით, შემკვრივებული.

1 თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით, ქვიშნარის ლინზებით, მყარი.

2 მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.

3 ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია-ნაცრისფერი, გამოფიტული, მცირე სიმტკიცის.

ლითოლოგიური საზღვარი

თანამდებობა	გვარი	ხელმოწერა	ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28, ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070-ში სატხოვრებელი სახლის პროექტი				
დირექტორი	ბ. სიჭინაშვილი						
ინჟენერი	ბ. სიჭინაშვილი		საინჟინრო-გეოლოგიური ჭრილი III-III				
შესრულა							
შეამოწმა			სტადია	ფურცელი	ფურც-ბი	მასშტაბი	შ.პ.ს
			პროექტი	3	3	1:100	"თბილინჟსტროექტი"

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №1 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 521.6

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ქანების აღწერა	წყლის გამოჩენა მ	დონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.1	2.1	519.5	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
3 4	apQIV		4.0	1.9	517.6	თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით და ქვიშნარის ლინზებით, მყარი.			2.0 3.3
5 6 7 8 9	apQIV		9.0	5.0	512.6	მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.			6.5
10	P²3		10.0	1.0	511.6	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია ნაცრისფერი, მცირე სიმტკიცის.			8.5 9.8

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №2 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 519.2

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიღრმე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ქანის დახასიათება	წყლის გამოჟონა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.6	1.6	517.6	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
2 3 4	apQIV		4.3	2.7	514.9	თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით და ქვიშნარის ლინზებით, მყარი.			2.5
5 6 7 8 9	apQIV		9.3	5.0	509.9	მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.			4.9
10	P²3		10.0	0.7	509.2	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია ნაცრისფერი, მცირე სიმტკიცის.			8.4

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №3 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 521.7

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფრის საბების სიღრმე მ	ფრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჟონა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.2	2.2	519.5	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
3 4	apQIV		4.7	2.5	517.0	თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით და ქვიშნარის ლინზებით, მყარი.			3.0
5 6 7 8 9	apQIV		9.1	4.4	512.6	მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.			5.5
10	P²3		10.0	0.9	511.7	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია ნაცრისფერი, მცირე სიმტკიცის.			7.8

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №4 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 518.5

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფენის სიმძლავრე მ	ფენის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჟონა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1	tQIV		1.7	1.7	516.8	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
2 3 4	apQIV		4.5	2.8	514.0	თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით და ქვიშნარის ლინზებით, მყარი.			3.7
5 6 7 8 9	apQIV		9.4	4.9	509.1	მერგელები ღია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.			
10	P²3		10.0	0.6	508.5	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, ღია ნაცრისფერი, მცირე სიმტკიცის			

ჭაბურღილის გეოლოგიურ-ლითოლოგიური ჭრილი

ჭაბ. №5 მასშ: 1:25 აბს. ნიშნ 519.7

ფენის №	სტრატიგრაფიული ინდექსი	ლითოლოგიური ჭრილი	ფრის საბების სიღრმე მ	ფრის სიმძლავრე მ	აბს. ნიშნული მ	ბრუნტის აღწერა	წყლის გამოჟონა მ	ღონის დამყარება მ	ნიმუშის აღების სიღრმე მ
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
1 2	tQIV		2.0	2.0	517.7	ნაყარი გრუნტი: თიხნარის მასა ღორღის და აგურის ნატეხების ჩანართებით შემკვრივებული.			
3 4	apQIV		4.7	2.7	515.0	თიხნარი მუქი-ყავისფერი, ღორღის ჩანართებით და ქვიშნარის ლინზებით, მყარი.			4.0
5 6 7 8 9	apQIV		9.4	4.7	510.3	მერგელები დია-ყავისფერი, ქვიშაქვის შუაშრეებით, დაბალი სიმტკიცის.			
10	P²3		10.0	0.6	509.7	ქვიშაქვების და არგილიტების მორიგეობა, დია ნაცრისფერი, მცირე სიმტკიცის			

პროექტის დასახელება: ქ. თბილისი, რატევანის ქუჩა, №28 ნაკვ. №01.12.09.005.071/069/070

გრუნტების შედგენილობის და ფიზიკური თვისებების კვლევის ჯამური უწყისი

რიგითი №	ჭაბურღილის/შურფის №	ნიმუშის აღების ინტერვალი, მ	ფრაქციის ზომა, მმ													ტენიანობა W%		პლასტიურობა %			I_L	სიმკვრივე, გრ/სმ³			ფორიანობა, n%	ფორიანობის კოეფიციენტი, e	წვნიანობის ხარისხი, S_z	შეჭიდულობა, c,კგ/სმ2	შინაგანი ხახუნის კუთხე, f	გრუნტის დასახელება
			60-40	40-20	20-10	10-5	5-2	2-1	1-0.5	0.5-0.25	0.25-0.1	0.1-0.05	0.05-0.01	0.01-0.005	< 0.005	ბუნებრივი	შემკვეთებული	ზღვარი, WL	ქვედა ზღვარი, Wp	პლასტიურობის რიცხვი, I_p	კონსისტენციის მახვნებელი,	მინერალური ნაწილაკების ρs	ბუნებრივ მდგომარეობაში, ρ	ჩონჩხის, ρ_d						
1	1	2.0														21.40		32.9	22.7	10.2	-0.13	2.72	1.87	1.54	43	0.766	0.76	0.29	22	თიხნარი მყარი
2	1	3.3														19.80		33.7	20.5	13.2	-0.05	2.72	1.88	1.57	42	0.733	0.73	0.24	22	თიხნარი მყარი
3	2	2.5														19.40		32.8	19.3	13.5	0.01	2.72	1.84	1.54	43	0.765	0.69	0.25	23	თიხნარი მყარი
4	3	3.0														20.50		34.3	20.7	13.6	-0.01	2.72	1.88	1.56	43	0.743	0.75	0.27	22	თიხნარი მყარი
5	4	3.7														21.20		36.1	22.5	13.6	-0.10	2.72	1.92	1.58	42	0.717	0.80	0.26	21	თიხნარი მყარი
6	5	4.0														20.70		33.8	21.2	12.6	-0.04	2.72	1.86	1.54	43	0.765	0.74	0.28	22	თიხნარი მყარი

შ.პ.ს. "თბილინვესტპროექტი"-ს გეოტექნიკური ლაბორატორიის ხელმძღვანელი: თ. ხევცურიანი

თარიღი:24.07.2021

გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28	სტადია	პროექტი
საკვ. №01.12.09.005.071/069/071	თარიღი	24.07 2021
ქანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	1
თიხნარი მუქი-ყავისფერი,	ნიმუშის №	1
მყარი	სიღრმე მ	2.0 2.2

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	1	21.40	1.87	2.72	1.54	43.4	0.766	32.90	22.70	10.2	-0.13	0.76

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიგა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.68	0.395	22	0.29	ბუნებრივ
2	1.10				
3	1.47				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა			
ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28	სტადია	პროექტი	
ნაკვ. №01.12.09.005.071/069/071	თარიღი	24.07	2021
ჭაბურღილის ადგილმდებარეობა	ჭაბ/შურფის №	1	
თიხნარი მუქი-ყავისფერი,	ნიმუშის №	2	
მყარი	სიღრმე მ	3.3	3.5

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხვლისაწყის №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მიწ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზღვა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიკურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	3	19.80	1.88	2.72	1.57	42	0.733	33.70	20.50	13.2	-0.05	0.73

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კნძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.64	0.405	22	0.24	ბუნებრივი
2	1.07				
3	1.45				



გრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

ადგილმდებარეობა		
ქ. თბილისი, რატევანის ქ. №28	სტადია	პროექტი
ნაკვ. №01.12.09.005.071/069/071	თარიღი	24.07 2021
ქანის აღწერა	ჭაბ/შურფის №	2
თიხნარი მუქი-ყავისფერი,	ნიმუშის №	3
მყარი	სიღრმე მ	2.5 2.7

გრუნტში მარილების შემცველობა

თაბაშირი %		კარბონატები %	
SO_4	$CaSO_4$	$CaCO_3$	CO_2

გრუნტის ფიზიკური თვისებები

ცდის პირობები	ხელსაწყოს №	ტენიანობა W%	სიმკვრივე გ/სმ³	სიმკვ. მინ. ნაწ. გ/სმ³	სიმკვრივე ჩონჩხის გ/სმ3	ფორიანობა n%	ფორიანობის კოეფიც e	პლასტ. ზედა ზღვარი W%	პლასტ. ქვედა ზღვარი W%	პლასტიურობის რიცხვი I_P	დენადობის მაჩვენებელი I_L	ტენიანობის ხარისხი Sr
ბუნებრივი	2	19.40	1.84	2.72	1.54	43	0.765	32.80	19.30	13.5	0.01	0.69

ვერტიკალური დატვირთვა, P 0.1მპა	ძვრის ძალა, τ 0.1მპა	შიდა ხახუნის კოეფიციენტი, $tg\varphi^0$	შიდა ხახუნის კუთხე, φ^0	შეჭიდულობა, C კგძ/სმ²	მდგომარეობა
1	0.67	0.430	23	0.25	ბუნებრივი
2	1.12				
3	1.53				



ბრუნტების ძვრაზე გამოცდის შედეგები

